ოქმი:**ო37.37213401**

თარიღი:**06/12/2021**

ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის

3 დეკემბერი

2021 წელი,

ქ. ოზურგეთი

12.00 - 18.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ : ლავრენტი ბიგვავა და დავით დარჩია

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: გ.ჩავლეშვილი, ქ.ვასაძე, მ.ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ.კილაძე, ე.გორდელაძე, გ.მდინარაძე, ალ.ღლონტი, ნ.ჭანიშვილი, ნ.გოლიაძე, ვლ.ხავთასი, ნ.ღაჟონია, ნ.ურუშაძე, ქ.ხომერიკი, ალ.ბურჭულაძე, პ.სალუქვაძე, ს.ქარცივაძე, დ.მჟავანაძე, შ.თავდიშვილი, თ. გოგუაძე, ი.თუთბერიძე, თ.ნიკოლაიშვილი, ხ.თავდიშვილი, ბ.კილაძე, გ. შარაშენიძე, გ.სირაძე, ნ.ნადარეიშვილი, დ.მდინარაძე, რ.დუმბაძე, ბ.ქათამაძე, პ.კიღურაძე, ნ.მახარაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ტ.აროშიძე, ბ.თოიძე, თ.ტუღუში, ნ.სარჯველაძე, დ.ჭაკნელიძე, ტ.მგელაძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ბერდია ლომიძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ოზურგეთის N60 საოლქო - საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბ.ლომიძემ- არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ რეგისტრაცია გაიარა ახლად არჩეული საკრებულოს 45-წევრიდან 42-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომის თავმჯდომარეობა სთხოვა საკრებულოს უხუცეს წევრს ლავრენტი ბიგვავას. საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“-დ.მჟავანაძემ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ ქ. ბათუმის საკრებულოს წევრის აწ გარდაცვლილი ნუგზარ ფუტკარაძის ხსოვნისათვის, რომელიც მისი აზრით, ხელისუფლების ზეწოლისაგან გარდაიცვალა, სხდომის წამყვანმა ლ.ბიგვავამ აღნიშნა, რომ გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნას, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებისა, პატივი უნდა მიეგოს. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილი არ მიმაჩნია ხელისუფლების დევნის მსხვერპლად, მხარი უნდა დაეჭიროს კოლეგის წინადადებას და საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგოს გარდაცვლილის ხსოვნას. საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ პატივი მიაგეს გარდაცვლილის ხსოვნას.

საკრებულოს წევრმა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- დან მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ გარდაცვლილი ადამიანით პოლიტიკური მანიპულირება არაა მისაღები და კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა გარდაცვლილის ოჯახს.

სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა მიესალმა საკრებულოს წევრებს, უსურვა წარმატებები საქმიანობში და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცების შემდეგ მოხსენებისათვის ტრიბუნასთან მოიწვია საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე -ბ.ლომიძე.

დღის წესრიგი

48.1 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: საკრებულოს წევრი ლ.ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის მიღებულ იქნა 43 ხმით.

სხდომის თავმჯდომარის ლ.ბიგვავას წინადადებით კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 5-წევრით, მანვე დაასახელა დროებითი სამანდატო კომისიის წევრობის კანდიდატები: ე.გორდელაძე, ნ.გოლიაძე, ვ.ნიჟარაძე, ნ.ღაჟონია, ალ.ღლონტი. საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა დროებითი სამანდანტო კომისიის შემადგენლობა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბ.ლომიძემ დროებით სამანდატო კომისიას სამუშაოდ გადასცა ახლადარჩეული საკრებულოს წევრების დოკუმენტები.

დროებითმა სამანდატო კომისიამ საკრებულოს მოახსენა, რომ რაიმე დარღვევა საკრებულოს წევრების დოკუმენტებში არ აღმოჩენილა და განაცხადა, რომ საკრებულოს შეუძლია კენჭი უყაროს საკრებულოსა და საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობას.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე და მიღებულ იქნა 43 ხმით.

საკრებულოს წევრ ტ.აროშიძის წინადადებით საოლქო- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბ.ლომაძის მოხსენება მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ცნობად.

49.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

განკარგულება თან რთვის მიღებულ იქნა 43 ხმით

სხდომის თავმჯდომარის ლ.ბიგვავას წინადადებით დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 3-წევრით. დასახელებული იქნენ საკრებულოს წევრები: ნ.ჭანიშვილი, ხ.ცერცვაძე და ვლ.ხავთასი.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად აირჩიეს დროებითი ხმისდამთვლელი კომისია.

50.3. „ახლად არჩეული საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

მომხს; ლ.ბიგვავა

განკარგულება თან რთვის მიღებულ იქნა 43 ხმით

დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე, რომელსაც საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

51.4. „ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ“-ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს:ლ.ბიგვავა
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 43 ხმით

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბ.ლომიძემ საკრებულოს წევრებს მიულოცა უფლებამოსილების ცნობა და განაცხადა,რომ კანონმდებლობის თანახმად, ამ მომენტიდან უფლებამოსილება შეუწყდა წინა მოწვევის საკრებულოს, წარმატებები უსურვა საკრებულოს ახალ შემადგენლობას მომავალ საქმიანობაში.

ამის შემდეგ, 13.15 -საათამდე გამოცხადდა შესვენება.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ“-ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მოხს: ლ. ბიგვავა

სხდომის მუშაობის განახლების შემდეგ დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან დაფუძნდა 3-ფრაქცია: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-30 -წევრის შემადგენლობით, თავმჯდომარე-მ.ჩხიკვიშვილი, მოადგილეები: ნ. ნადირაშვილი; ხ. ცერცვაძე, ნ.ურუშაძე, გ.კილაძე, ლ.კილაძე; გ.მდინარაძე; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-11-წევრით, თავმჯდომარე-დ.მჟავანაძე, მოადგილეები: შ.თავდიშვილი, ბ.ქათამაძე, თ.გოგუაძე; „ოზურგეთი საქართველოსათვის“ - 4-წევრით, თავმჯდომარე-ალ. ბურჭულაძე, მოადგილე- პ. სალუქვაძე. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე მ. ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა გუნდს გამოცხადებული ნდობისათვის და განაცხადა, რომ ხელისუფლება მზადაა პოლიტიკური თანამშრომლობისათვის ოპოზიციურ ძალებთან, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა პარტია“ ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ფაქტობრივი ლიდერი მ. სააკაშვილი მაქსიმალური ენერგიით ცდილობენ ქვეყანაში ქაოსისა და არეულობის შემოტანას. ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით მიტაცების გარდა სხვა საზრუნავი არ აწუხებს, ეს პარტია ქვეყანაში დესტრუქციული ქმედებების გზით რევანშისტული ზრახვების განხორციელების ნიშანია. აღნიშნა რომ ისინი ვერ აყვებიან მათ და ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის უნდა იზრუნონ, ასევე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. პარტია, ასევე თავმჯდომარეც იზრუნებენ უკეთესი ოზურგეთისათვის. ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ, რომელმაც საკრებულოს წევრებს მიულოცა უფლებამოსილების ცნობა, შემდეგ განაცხადა, რომ ეს არჩევნები არ გამოხატავს ხალხის ნებას, გაყალბებულია და სხვა. სიტყვა ასევე ითხოვა ამავე პარტიის წევრმა გ.შარაშენიძემ, რომელიც პირდაპირ გადავიდა ლანძღვა-გინებაზე, განაცხადა, რომ საკრებულო არალეგიტიმურია, ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, მესამე პრეზიდენტი უკანონოდ არის დაპატიმრებული, ხმამაღალი და ემოციური გამოსვლის გამო ხელს უშლიდა საკრებულოს სხდომის მუშაობას, რის გამოც სხდომის წამყვანის შოთხოვნით დაცვის სამსახურმა მოუწოდა დაეტოვებინა სხდომათა დარბაზი, მას გამოესარჩლნენ თანაპარტიელები დ.მჟავანაძე, ბ.ქათამაძე, შ.თავდიშვილი და სხვები, სხდომის წამყვანმა შეწყვიტა სხდომა. დაცვის პოლიციამ ვერ უზრუნველყო წესრიგის აღდგენა და მოსალოდნელი უმართავი სიტუაციის გაბმუსტვის მიზნით დახმარებისათვის გამოიძახა კრიმინალური პოლიცია, პოლიციამ უზრუნველყო ნაციონალური მოძრაობის წევრები გაეყვანა სხდომათა დარბაზიდან.

სხდომა გაგრძელდა 14.00 -საათზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-წევრმა.

6. საკრებულოს წევრ გ.ღურჯუმელიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა
თანამომხსენებელი: ე.გორდელაძე

დროებითი სამახდატო კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ საკრებულოს გააცნო საკრებულოს წევრ გ.ღურჯუმელიძის განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, რომელიც საკრებულომ მიიღო ცნობად.

52.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს:ლ.ბიგვავა
თანამომხსენებელი: ე.გორდელაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 32 ხმით

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ, წევრები ასე განაწილდნენ-პარტია „ქართული

ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-12 ; -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-4; - „გახარია საქართველოსათვის“-2.

53.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს:ლ.ბიგვავა

თანამომხსენებელი: ე.გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 ხმით

ამ საკითხზეც მოისმინეს დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ე. გორდელაძის დასკვნა, კომისიებში იქნება 19-19 წვრი. გარდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ დასახელდა კომისიების წევრთა შემადგენლობა.

გამოცხადდა 5-წუთიანი შესვენება. შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 32 წევრმა.

54.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28 ხმით

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრებისაგან შემოსულია საკრებულოს სამი წევრის: მ.ჩხიკვიშვილის, ტ.აროშიძის და ნ.ჭანიშვილის განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოს წევრ- დავით დარჩიას კანდიდატურის დასახელების შესახებ. პარტია „გახარია საქართველოსათვის“ წევრებისგან: ალ.ბურჭულაძე; პ.სალუქვაძე და ს.ქარცივაძე-საკრებულოს თავმჯდომარეობის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატად დასახელდა საკრებულოს წევრის გიორგი სირაძის განდიდატურა. სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა შეეკითხა დასახელებულ კანდიდატებს თანახმა იყვნენ თუ არა კენჭისყრაში მონაწილეობაზე და დადებითი პასუხის შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა კანდიდატების საარჩევნო ბიულეტენში შეტანის საკითხი, რასაც საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირა.

საკრებულოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს ხმისდამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და საკრებულოს წევრებს გააცნეს ხმის მიცემის წესი.

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში 44 წევრიდან მონაწილეობა მიიღო 32- მა წევრმა, აქედან 28 -ხმა მიიღო დავით დარჩიამ, ხოლო 4-ხმა გიორგი სირაძემ, ამდენად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დავით დარჩია. სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს დავით დარჩიას გამარჯვება. ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარემ _ დავით დარჩიამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისა და ნდობისათვის, ამასთან განაცხადა, რომ იგი იქნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თითოეული ამომრჩევლის, მოქალაქის მხარდამჭერი და ინტერესების დამცველი, რომ მათთან ერთად იღვაწებს მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. შემდეგ შეაფასა საკრებულოს სხდომაზე მომხდარი ფაქტი, აღნიშნა, რომ რადიკალური ოპოზიცია ზრუნავს მხოლოდ შანტაჟისა და ქაოსის მოწყობაზე, რაც ნათლად გამოვლინდა ამ დარბაზშიც, მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს უმრავლესობა კი ერთი მიზნითაა გაერთიანებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებისთვის. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეობა განაგრძო ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

55.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: დ.დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27 ხმით

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოს წევრ ლავრენტი ბიგვავას კანდიდატურა დაასახელა თავად საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, მან თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე ასარჩევად კენჭისყრაზე. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე არჩეულ იქნა 27-ხმით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღიო 44 წევრიდან 27-მა. დ.დარჩიამ მიულოცა ლ.ბიგვავას. საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევა. ლ. ბიგვავამ მადლობა გადაუხადა გუნდს გამოცხადებული ნდობისათვის.

56.11„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: დ. დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28 ხმით

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოს წევრ ტარიელ აროშიძის კანდიდატურა დაასახელა თავად საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, მან თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე ასარჩევად კენჭისყრაზე. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არჩეულ იქნა 28-ხმით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღიო 44 წევრიდან 28-ამ. დ.დარჩიამ მიულოცა ტ.აროშიძეს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა. ტ.აროშიძემ მადლობა გადაუხადა გუნდს გამოცხადებული ნდობისათვის.

57.12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: დ. დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28 ხმით

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოს წევრ ნათია გოლიაძის კანდიდატურა დაასახელა თავად საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, მან თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე ასარჩევად კენჭისყრაზე. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არჩეულ იქნა 28-ხმით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღიო 44 წევრიდან 28-ამ. დ.დარჩიამ მიულოცა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა. ნ.გოლიაძემ მადლობა გადაუხადა გუნდს გამოცხადებული ნდობისათვის.

58.13. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ. **მომხს.: დ. დარჩია**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27 ხმით

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ ამ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად გადაწყვიტა საკრებულოს წევრ პაატა კიღურაძის კანდიდატურის დასახელება, თავად პ.კიღურაძემ თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე კენჭისყრაზე. არჩევნებში 44

წევრიდან მონაწილეობა მიიღო 27-მა, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 27-მა წევრმა. დ.დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს პ.კიღურაძეს თანამდებობაზე არჩევა.

59.14. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

მომხს:დ.დარჩია
განკარგულება თან
რთვის
მიღებულ იქნა 27 ხმით

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ ამ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად გადაწყვიტა სკრებულოს წევრ გელა ჩავლეშვილის კანდიდატურის დასახელება, თავად გ.ჩავლეშვილმა თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე კენჭისყრაზე. არჩევნებში 44 წევრიდან მონაწილეობა მიიღო 27-მა, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 27-მა წევრმა. დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს გ.ჩავლეშვილს თანამდებობაზე არჩევა.

60.15. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს.: **დ. დარჩია**
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 27 ხმით

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ ამ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად გადაწყვიტა სკრებულოს წევრ ბექა თოიძის კანდიდატურის დასახელება, თავად ბ.თოიძემ თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე კენჭისყრაზე. არჩევნებში 44 წევრიდან მონაწილეობა მიიღო 27-მა, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 27-მა წევრმა. დ.დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ბ.თოიძეს თანამდებობაზე არჩევა.

61.16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

მომხს: დ.დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27 ხმით

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ ამ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად გადაწყვიტა საკრებულოს წევრ დავით ჭაკნელიძის კანდიდატურის დასახელება, თავად დ.ჭაკნელიძემ თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე კენჭისყრაზე. არჩევნებში 44 წევრიდან მონაწილეობა მიიღო 27-მა, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 27-მა წევრმა. დ.დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს დ.ჭაკნელიძეს თანამდებობაზე არჩევა.

62.17. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

მომხს.: დ. დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27 ხმით

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ ამ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად გადაწყვიტა საკრებულოს წევრ ქეთევან ხომერიკის კანდიდატურის დასახელება, თავად ქ.ხომერიკმა თანხმობა განაცხადა ამ თანამდებობაზე კენჭისყრაზე. არჩევნებში 44 წევრიდან მონაწილეობა მიიღო 27-მა, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 27-მა წევრმა. დ.დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ქ.ხომერიკს თანამდებობაზე არჩევა.

16.18. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს:დ. დარჩია
თანამომხსენებელი: ლ.ბიგვავა
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 27 ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დავით დარჩიამ კიდევ ერთხელ მიულოცა კოლეგებს პირველი სხდომის ჩატარება და წარმატება უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი